INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს (www.deoagency.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 16 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო
www.deoagency.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
50.00%
59.00%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
11.11%
100.00%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
60.00%
35.83%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
26.92%
16.43%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
19.05%
17.75%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
7.14%
19.00%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
0.00%
0.00%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
0.00%
0.00%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
28.57%
50.00%
0.00%
50.00%
100.00%
150.00%

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. შეიძლება ითქვას, რომ ვებ-გვერდზე არ მოიძება სააგენტოს ხელმძღვანელობის შესახებ თითქმის არანაირი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს დირექტორის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება დირექტორის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- არ მოიძიება სააგენტოს დირექტორის მოადგილეების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა აღწერა. აგრეთვე, არ მოიძიება მოადგილეების არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტები - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.



სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილებები, სათაურად „სააგენტოს დირექტორი“ და „მოადგილეები“ სადაც განთავსდება მათ შესახებ ყველა ზემოთ აღნიშნული, შესაბამისი ინფორმაცია.

2. არ მოიძიება ვებ-გვერდის ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა, სააგენტოს საფოსტო მისამართი (საფოსტო ინდექსზე მითითება), ელექტრონული ფოსტის მისამართი და სააგენტოს შენობის მდებარეობის აღმნიშვნელი რუკა.

3. ვებ-გვერდზე მოცემულია სააგენტოს საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, თუმცა სასურველია აქვე მითითებულიც იყოს, რომ მოცემული ნომერი წარმოადგენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერს:



4. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სრული სარეკვიზიტო ცნობარი (სტრუქტურული ერთეულების (მათ შორის შესაბამისი სამმართველოების) და ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) სატელეფონო ცნობარი, ელ. ფოსტის მისამართები, ფაქსის ნომრები, საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები, აგრეთვე, არ მოიძიება სააგენტოს მიერ ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების და მათთან მუშაობის გრაფიკი.

5. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ მოცემული ინფორმაცია სააგენტოს ისტორიის შესახებ, შემოიფარგლება მხოლოდ ორი წინადადებით. სასურველია, ვებ-გვერდზე შეიქმნას (ქვე-)განყოფილება სათაურად „ისტორია“, სადაც განთავსდება სააგენტოს დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია:



6. როგორც სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად ირკვევა, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა დამზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სამართალმემკვიდრეს, რომელიც, თავის მხრივ 2009 წლის 25 დეკემბერს გახდა ქვემოთ ჩამოთვლილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებამონაცვლე:

ა) თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატი;
ბ) ქუთაისის ხანდაზმულთა პანსიონატი;
გ) ძევრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანსიონატი;

დ) ახმეტის ბავშვთა დღის ცენტრი;
ე) ეწერის ბავშვთა დღის ცენტრი;
ვ) დუშეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ზ) საგურამოს ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
თ) სურამის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ი) თელავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
კ) წალენჯიხის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ლ) ზუგდიდის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
მ) კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ნ) ასპინძის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ო) ბათუმის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
პ) კოჯრის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ჟ) ლაგოდეხის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
რ) მესტიის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ს) ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება "მომავლის სახლი";
ტ) რუსთავის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
უ) ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება "სათნოება";
ფ) ტაშისკარის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ქ) თბილისის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ღ) წყნეთის ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
ყ) სენაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულება;
შ) ქუთაისის ცერებრული დამბლით დაავადებულ ბავშვთა დღის ცენტრი;
ჩ) თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი;
ც) მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლი;
ძ) მარტყოფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სპეციალიზებული დაწესებულება.

სასურველია, ვებ-გვერდზე მოცემული იყოს ინფორმაცია ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით.

7. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ" მოცემულია ძალზედ მწირი ინფორმაცია სააგენტოს მისიისა და მიზნის შესახებ, სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს სააგენტოს მოქმედი დებულების თანახმად განსაზღვრული სააგენტოს მიზნის, ფუნქციების, უფლებამოსილებებისა და საქმიანობის პრინციპების აღწერა:

მისია
სააგენტოს მისიაა, ხელი შეუწყოს მთავრობის პრიორიტეტებს: ბენეფიციარების საზოგადოებასა და ოჯახებში ინტეგრაციას და, ამავდროულად, გაუმჯობესოს მათი ამჟამინდელი ყოფა.

მიზანი
სააგენტოს მიზანია, მოახდინოს როგორც მოკლევადიანი (პირველადი საჭიროებების – კვება, ჩაცმა, გარემონტება და ა.შ), ასევე გრძელვადიანი (ოპტიმიზაცია, რეინტეგრაციის ხელშეწყობა) გეგმების განხორციელება.

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

8. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს სტრუქტურის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია, კერძოდ:

- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი სამმართველოების ფუნქციების აღწერა;
- არ მოიძიება სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი სამმართველოების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და აგრეთვე, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
- არ მოძიება სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი სამმართველოების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:



9. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების (ფილიალების) შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია. კერძოდ, არ მოიძიება:

- ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) კომპეტენციის, ფუნქციებისა და მიზნების აღწერა;
- ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:
- ტერიტორიული ორგანოების (ფილიალების) საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითება) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები;
- ტერიტორიული ორგანოების (ფილიალების) ელექტრონული ფოსტის მისამართები, საკონტაქტო ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

10. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული შემდეგი სახის მნიშვნელოვანი მონაცემთა ბაზები: არ არსებობს ვაკანსიათა და ტენდერების არქივი (არ არსებობს შესაბამისი (ქვე)-განყოფილებები), საერთაშორისო და ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, სააგენტოს საქმიანობის ამსახველი კვარტალური/მიმდინარე ანგარიშები, პროგრამები და პროექტები (მათ შორის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით დონორ ქვეყნებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთობლივად შემუშავებული და განხორციელებული პროექტები), გეგმები და პროგნოზები, სტატისტიკური მონაცემები, ფინანსური ხასიათის მაჩვენებლები *და ა.შ.*

ამასთან, ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში სათაურად „ჩვენს შესახებ“ არსებულ ქვე-განყოფილებაში „ფილიალები“ განთავსებულ ბმულზე „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი“ გადასვლისას გახსნილი გვერდი ცარიელია:



აგრეთვე, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე განთავსებულ განყოფილებაში სათაურად „პროექტები“ არსებულ ქვე-განყოფილებებში მიმაგრებული დოკუმენტები დაზიანებულია და არ ექვემდებარება ჩამოტვირთვას:

- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება სააგენტოს ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ:

- არ მოიძიება სააგენტოს დირექტორისა და მისი მოადგილეების გამოსვლების, განცხადებებისა და ბრიფინგების ტექსტები;

- არ მოიძიება სააგენტოს დირექტორისა და მისი მოადგილეების ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ, ცნობები.

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „წლიური ანგარიშები, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მიმდინარე კვარტალური მოხსენებები/ანგარიშები.

13. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „სტატისტიკა“, სადაც განთავსდებოდა სააგენტოს მიერ შეგროვებული და დამუშავებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია და მონაცემები იმ ძირითადი მაჩვენებლების შესახებ, რომლებიც ასახავენ სააგენტოს საქმიანობის ძირითად სფეროებში არსებულ სიტუაციასა და მათ განვითარების დინამიკას.

14. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება „პროგრამები“, სადაც მოყვანილი იქნებოდა იმ პროგრამების ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, ცნობები იმ პროგრამების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

15. მართალია, ვებ-გვერდის მთავარ გვერდზე არსებობს განყოფილება „პროექტები“ თუმცა მასში წარმოდგენილია ტრენინგების შესახებ ცნობები:





პრევენციული შინაარსის ტრენინგი ტრეფიკინგზე

ავტორი: Administrator
21.04.2010 11:11

ტრენინგი ტრეფიკინგზე

სააგენტოსა და "World Vision"-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე 2010 წლის 15 აპრილიდან

დაიწყო პრევენციული შინაარსის ტრენინგები ტრეფიკინგის თემაზე, რომელიც საქართველოს მასშტაბით 17 ბავშვთა სახლში ჩატარდება 15-დან 18 წლამდე ასაკის ბენეფიციარებისთვის, ვინაიდან დაწესებულებიდან გამოსული ბავშვები წარმოადგენენ ყველაზე დიდ რისკ-ჯგუფს, გახდნენ ტრეფიკინგის მსხვერპლნი.

Обновлено 21.04.2010 11:17

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს იმ პროექტების (მათ შორის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებით დონორ ქვეყნებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან ერთობლივად შემუშავებული და განხორციელებული პროექტების) ჩამონათვალი და მათ შესრულების შესახებ (წლიური) მოხსენებები, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო. აგრეთვე, ცნობები იმ პროექტების ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ, რომელთა რეალიზაციაში მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო.

16. სასურველია, ვებ-გვერდზე არსებობდეს (ქვე-)განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და „პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და სააგენტოს პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები:



- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

17. ვებ-გვერდზე არსებულ განყოფილებაში „კანონმდებლობა“ განთავსებულია მხოლოდ ორი სამართლებრივი აქტი - სააგენტოს დებულება და სააგენტოს ცენტრალური აპარატის დებულება.

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში განთავსდეს სააგენტოს საქმიანობის (მმართველობის) სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო აქტები, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს მინისტრის სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები; აგრეთვე, სააგენტოს დირექტორის მიერ

გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები (მათ შორის, დირექტორის მიერ დამტკიცებული სააგენტოს სახელფასო ფონდი და საშტატო ნუსხა).

სასურველია, აღნიშნულ განყოფილებაში, აგრეთვე, მოიძიებოდეს შემდეგი სამართლებრივი აქტებიც:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“
- საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილება „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას

18. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიმართვათა მიმოხილვა.

19. ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და სააგენტოში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

20. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა სააგენტოსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე, სააგენტოსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები.

21. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე-)განყოფილება, სათაურად „ტენდერები", სადაც განთავსდება სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა (გამოცხადებული ტენდერები, კონკურსები და სხვა სახის სახელმწიფო შესყიდვები) და განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) ამომწურავი ჩამონათვალი (სია) და ასევე, სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების პრივატიზების (ელექტრონული/საჯარო აუქციონების, პირდაპირი მიყიდვის, სხვა გზით) შესახებ ინფორმაცია.

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

22. ვებ-გვერდზე არ არსებობს (ქვე)-განყოფილება სათაურად „ვაკანსიები", სადაც განთავსდებოდა ვაკანსიათა არქივი, აგრეთვე, საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის შედეგები (სააგენტოს მიერ კანდიდატთა პერსონალური მონაცემების ვებ-გვერდზე განთავსების საფუძვლებზე (თანხმობის მიღება) მითითებით, ვაკანტურ თანამდებობაზე მისაღები კანდიდატისათვის წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი (სათანადო ცოდნა და გამოცდილება, ძირითადი უნარ-ჩვევები), საჯარო თანამდებობათა დასაკავებელი კონკურსის პროცედურებისა და შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წაყენების, მათი ადმინისტრაციული წარმოების გზით გასაჩივრების წესის აღწერა და ა.შ.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

23. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის შემდეგი სახის ინფორმაცია:

- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის 27 მაისის სააგენტოს უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი (თანამდებობის პირთა ვინაობა და თანამდებობის სახელწოდება), რომელიც მოწოდებულ*

იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე: http://www.opendata.ge/pdf_files/saxelmwifozrunva_sashtatonusxa.pdf);

- არ მოიძიება სააგენტოს სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია; *(პროექტ **„საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"**, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსათვის მიმართული ოფიციალური წერილით მოთხოვნილ იქნა 2011 წლის პირველ კვარტალში (სამი თვე) გაცემული ხელფასებისა და პრემიების საერთო კვარტალური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე), რომელიც მოწოდებულ იქნა, რაც შესაძლებელს ხდის სააგენტოს მიერ ამ ინფორმაციის ვებ-გვერდზეც განთავსებას. მოცემული ინფორმაცია შესაძლებელია მოძიებულ იქნეს შემდეგ ბმულზე:* http://www.opendata.ge/pdf_files/saxelmwifozrunva_xelfasipremia.pdf);

- არ მოიძიება სააგენტოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივით განხორციელებული იმ პროექტებისა და პროგრამების (სოციალური, მიზნობრივი, კვლევითი, სამეცნიერო, საგანმანათლებლო, ამა თუ იმ სფეროს განვითარებაზე მიმართული და მისთ.) სავარაუდო და ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს სააგენტო;

- არ მოიძიება უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ სააგენტოსათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
77.78%
2. ძიება
0.00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
56.25%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50.00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46.67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0.00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
75.00%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14.29%
9. ელექტრონული ჩართულობა
0.00%
10. ელექტრონული სერვისები
9.09%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0.00%
12. უსაფრთხოება
66.67%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50.00%
0
0.2
0.4
0.6
0.8

- **ნავიგაცია**

ვებ-გვერდს აქვს ორი მენიუ, რომლებიც აბსოლიტურად იდენტურია:



ორი პარალელური, ჰორიზონტალური, მენიუს არსებობა მომხმარებელს არ უადვილებს ნავიგაციას და მხოლოდ აბნევს მას. დამატებითი მენიუს გაკეთება უმჯობესია ვებ-გვერდის დაბლითა მხარეს Footer-ში, საიდანაც მომხმარებელი მარტივად მოახდენს ნავიგაციას ვებ-გვერდის მთავარ (ზედა) „მენიუში“ დაბრუნების გარეშე.

- **ძიება**

ვებ-გვერდს სამწუხაროდ ძიება არ გააჩნია. ძიება არის ვებ-გვერდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელი მარტივად აგნებს სასურველ ინფორმაციას;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

ვებ-გვერდის დაბლითა მხარეს გვხვდება სურათები, რომლებიც ატვირთულია შეცვლილი რეზოლუციით და ამის გამო სურათები ჩანს არაბუნებრივად:



- **საკონტაქტო ფორმები და წესები**

საკონტაქტო გვერდზე აუცილებელად უნდა იყოს მითითებული საჯარო დაწესებულების ელექტრონული ფოსტაც:



სასურველია შემდეგ ფორმატში: info@deoagency.gov.ge ან contact@deoagency.gov.ge

- **ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა**

ვებ-გვერდის ინგლისურ ენოვან ვერსიაში, გვხვდება ქართული შიგთავსი, მაგალითად განყოფილება ბიუჯეტის შემთხვევაში:

ვებ-გვერდის ბანერები ინგლისურ ენოვან ვერსიაშიც ქართული შრიფტით არის წარმოდგენილი:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ვებ-გვერდს არ აქვს მითითებული სტანდარტული ფონტი, რადგან ტექსტები სხვადასხვა ბრაუზერში სხვადასხვაგვარად გამოიყურება.

მაგალითად ბრაუზერ Firefox-ში გამოყენებულია ფონტი “Sylfaen”-ი:



ხოლო Opera-ში გამოყენებულია ფონტი “Glaho”



ვებ-გვერდს აქვს მცირე სტრუქტურული ხარვეზი:

- **უსაფრთხოება**

ვებ-გვერდი დამზადებულია მზა ძრავის მეშვეობით (ანუ შაბლონით) სახელად “Joomla”, ამ ძრავს კი სტანდარტულად მოყვება ფაილი Robots.txt, რომელიც მიუთითებს საძიებო სისტემებს თუ რომელი საქაღალდე არ უნდა დააინდექსონ. ზოგჯერ ამ ფაილში გვხვდება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ყველა მომხმარებელმა არ უნდა იცოდეს, მაგალითად ადმინ პანელის მისამართი:

```
User-agent: *
Disallow: /administrator/
Disallow: /cache/
Disallow: /components/
Disallow: /images/
Disallow: /includes/
Disallow: /installation/
Disallow: /language/
Disallow: /libraries/
Disallow: /media/
Disallow: /modules/
Disallow: /plugins/
Disallow: /templates/
Disallow: /tmp/
Disallow: /xmlrpc/
```

რომელიც სასურველია დაიმალოს, რათა პროგრამისტმა არ გამოიყენოს კიბერ შეტევის დროს:



ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება

ვებ-გვერდი აწყობილია მზა ძრავის (Joomla-ს) მეშვეობით, ამ ძრავს აქვს თავისი სტანდარტები, რითაც ვებ-გვერდი სარგებლობს და გამოირჩევა სხვა ვებ-გვერდებიდან, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ეს ძრავი უკვე მოძველებულია და მასში დარჩენილია ისეთი ფუნქციები და მეთოდები, რომლებიც თანამედროვე სისტემებში ნაკლებად გამოიყენება, მაგალითად ორი იდენტური მენიუ.